



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

"ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ "

თავდაცვის, საზოგადოებრივი
წესრიგის და უსაფრთხოების
სფეროს აუდიტის დეპარტამენტის
უფროსი

ფ. შ. შ.

ფრიდონ შენგელია

"3" აგვისტო 2013 წელი

ვგზ. N2

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების
დეპარტამენტი

ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის ანგარიში № 29/00

2011 წლის 1 იანვარი - 2012 წლის 30 ნოემბერი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი
ფინანსური ანგარიშგება

2011 წლის 1 იანვარი - 2012 წლის 30 ნოემბერი

შინაარსი

დასკვნა ფინანსური ანგარიშის შესახებ	3
პირობითი აუდიტორული მოსაზრების საფუძვლები ფინანსური ანგარიშის შესახებ	4
დასკვნა კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ	5
პირობითი აუდიტორული მოსაზრების საფუძვლები შესაბამისობის შესახებ	6
სხვა მნიშვნელოვანი საკითხები	Error! Bookmark not defined.
ფორმა N1 - ბალანსი 2011	12
ფორმა N1 - ბალანსი 2012	13
ფორმა N2 - ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით 2011	14
ფორმა N2 - ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით 2012	15
ფორმა N2.1 - ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ 2011	16
ფორმა N2.1 - ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ 2012	16
ფორმა N2.2 - ანგარიში ფინანსური აქტივებით და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ 2011	17
ფორმა N2.2 - ანგარიში ფინანსური აქტივებით და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ 2012	17
ფორმა N3 - ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ 2011	18
ფორმა N3 - ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ 2012	19
ფორმა N5 - ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ 2011	20
ფორმა N5 - ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ 2012	21
ფორმა N5.1 - ანგარიში ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებების შესახებ 2011	22
ფორმა N6 - ანგარიში ავტომატური ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ 2011	22
ფორმა N6 - ანგარიში ავტომატური ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ 2012	23

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობას

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის (შემდგომში „დეპარტამენტი“) ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი, რომელიც მოიცავს ბალანსებს 2011 წლის 31 დეკემბრის და 2012 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით და მათთან დაკავშირებულ ანგარიშებს. თითოეული პერიოდის აუდიტი მოიცავს შემდეგ ანგარიშებს: ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით, ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ, ანგარიში ფინანსური აქტივებით და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ, ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ, ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ და ანგარიში ავტომატური ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ. 2011 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდის აუდიტი ასევე მოიცავს ანგარიშს ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებების შესახებ.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

„დეპარტამენტის“ ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის სამართლიან წარდგენაზე საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციისა და 2008 წლის 16 აპრილის „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ N364 ბრძანების შესაბამისად.

აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან გაწვრთხას არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური პასუხისმგებელია აუდიტის საფუძველზე გამოთქმას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი წარმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნას გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის განჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომელიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განსაზღვრავს შესაფერისი თუ არა შიდა კონტროლი სამართლიანი და უტყუარი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის. შიდა კონტროლის შეფასება მიზნად ისახავს მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და არა შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე მოსაზრების გამოთქმას. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მოსაზრების გამოსათქვამლად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

პირობითი აუდიტორული მოსაზრების საფუძვლები ფინანსური ანგარიშგების შესახებ

- შრომის ანაზღაურების მუხლით არსებული დებიტორული დავალიანება ბუღალტრულად არ იყო აღიარებული

დეპარტამენტის თანამშრომელთა სამსახურიდან განთავისუფლების დროს საბოლოო ანგარიშწორებისას ზოგიერთ შემთხვევაში შრომის ანაზღაურების თანხები ზედმეტად იყო გაცემული, რაც გამოწვეული იყო იმით, რომ შრომის ანაზღაურების გაცემა წარმოებს თვის შუა რიცხვებში, ხოლო ზოგჯერ თანამშრომელთა განთავისუფლება ხდება ხელფასის გაცემის თარიღსა და თვის ბოლო რიცხვს შორის პერიოდში. ამის შემდეგ დეპარტამენტის ბუღალტერიის მოთხოვნით თანამშრომლები შრომის ანაზღაურების სახით ზედმეტად მიღებულ თანხებს უკან აბრუნებენ.

2011 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ზედმეტად გაცემულ შრომის ანაზღაურებაზე დავალიანებამ შეადგინა 11.5 ათასი ლარი. 2011 წლის განმავლობაში ასეთი სახით დამატებით ზედმეტად გაცემულია 6.7 ათასი ლარი. აღნიშნული თანხები 2012 წლის 12 დეკემბრის მდგომარეობით მთლიანად უკან არის დაბრუნებული.

2012 წლის 1 იანვრიდან 30 ნოემბრამდე შრომის ანაზღაურების სახით ზედმეტად გაცემულია 16.4 ათასი ლარი, უკან დაბრუნებულია 12.3 ათასი ლარი. 2012 წლის 1 ოქტომბრისთვის დავალიანება შეადგენდა 4.1 ათას ლარს. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული დებიტორული დავალიანებები ბუღალტრულად არ არის აღიარებული და არ არის ასახული ფინანსურ ანგარიშებში, რითაც დარღვეულია კანონმდებლობის მოთხოვნა¹. დეპარტამენტის ბალანსში 4.1 ათასი ლარით უზუსტოდ არის წარმოდგენილი წინასწარი გადახდების და წმინდა ღირებულების მუხლები, ხოლო ბალანსის დანართ ფორმა N2-ში, ამავე თანხით, უზუსტოდ არის წარმოდგენილი შრომის ანაზღაურების მუხლის ფაქტობრივი ხარჯი.

- სამემოსავლო გადასახადი არ არის დარიცხული და გადახდილი

ბიზნის ქირაზე დეპარტამენტს 2011 წლის განმავლობაში გაწეული აქვს 184.0 ათასი ლარის საკასო ხარჯი, ხოლო 2012 წლის იანვრიდან ნოემბრის ჩათვლით - 139.8 ათასი ლარის საკასო ხარჯი, რაც სულ ჯამში შეადგენს 323.8 ათას ლარს. აღნიშნული ხარჯები გაწეულია მინისტრის ბრძანებების საფუძველზე, რომელთა მიხედვითაც დეპარტამენტის ცალკეული თანამშრომლებისთვის დაქირავებული იქნა საცხოვრებელი ბინები. აღნიშნული ხარჯების გაწევის დროს გათვალისწინებული არ არის კანონმდებლობის მოთხოვნა², რომლის მიხედვითაც დამქირავებლის მიერ დაქირავებულისთვის მომსახურების მიწოდებისას (ასევე საცხოვრებლის სარგებლობაში გადაცემისას) საიჯარო ქირის წლიური საბაზრო ღირებულება განეკუთვნება ხელფასის სახით მიღებულ შემოსავლებს და იბეგრება სამემოსავლო გადასახადით. აღნიშნული გადასახადის დეპარტამენტის ბიუჯეტის ხარვეზში გათვალისწინების შემთხვევაში სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი გადაუხდელი სამემოსავლო გადასახადის თანხა შეადგენდა 80.9 ათას ლარს³.

- საბუღალტრო მონაცემებსა და საწყობში არსებულ სასაქონლო ნაშთს შორის სხვაობა

დეპარტამენტმა ვერ წარმოადგინა 2011-2012 წლებში ქონების, მოთხოვნების და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტები. დარღვეულია კანონმდებლობის მოთხოვნა⁴, აუდიტის ჯგუფის მიერ საქონლის საბუღალტრო ნაშთები შედარდა დეპარტამენტის საწყობის ნაშთებს.

¹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დოკუმენტებზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-14 მუხლის 22-ე პუნქტის მოთხოვნა.

² საქართველოს საგადასახადო კოდექსის 80-ე მუხლის 1-ლი ნაწილის, მე-100 მუხლის მე-3 ნაწილის და 101-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ და „დ“ პუნქტების მოთხოვნები.

³ 323.8/0.8-323.8

⁴ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის მე-3 მუხლის მოთხოვნა.

აღნიშნული შედარების შედეგად გამოვლენილი განსხვავებები ფიზიკურად გადამოწმდა საწყობში. ადგილზე არ აღმოჩნდა ბალანსზე რიგბული სხვადასხვა დასახელების ძირითადი აქტივები და მცირეფასიანი საგნები 178.5 ათასი ლარის ჯამური საბალანსო ღირებულებით. საწყობის მატერიალურად პასუხისმგებელი პირის განმარტებით აღნიშნული აქტივები გადაცემულია სხვადასხვა თანამშრომლებზე ისე, რომ არ მომხდარა გასავლის დოკუმენტების შედგენა. მატერიალურად პასუხისმგებელი პირის განმარტებით მას გააჩნია ინფორმაცია თუ რომელ თანამშრომელს რა საქონელი აქვს გადაცემული.

პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძველზე აღწერილი საკითხების ფინანსურ ანგარიშგებაზე შესაძლო გავლენის გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით სამართლიანად ასახავს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ფინანსურ მდგომარეობას 2011 წლის 31 დეკემბრის და 2012 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ სააღრიცხვო პერიოდებისთვის, რომლებიც დასრულდა მოცემული თარიღებით.

დასკვნა საქმიანობის და ფინანსური ოპერაციების კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობას

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და მის სამართლიან წარდგენის პასუხისმგებლობის გარდა, რომელიც აღწერილია ზემოთ, დეპარტამენტის ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია, რომ უზრუნველყოს ორგანიზაციის საქმიანობის და ფინანსური ოპერაციების კანონმდებლობასთან შესაბამისობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

გარდა ფინანსურ ანგარიშგებაზე მოსაზრების გამოთქმის პასუხისმგებლობისა, რომელიც აღწერილია ზემოთ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პასუხისმგებლობაა აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ. ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი წარმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის მოთხოვნების დადგა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნას გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა დეპარტამენტის საქმიანობა და ფინანსური ოპერაციები მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

პირობითი აუდიტორული მოსაზრების საფუძვლები შესაბამისობის შესახებ

- სახელმწიფო შესყიდვების დროს შექმნილი გადაუდებელი აუცილებლობა

სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის შემოწმებით გაირკვა, რომ 2011 წლის განმავლობაში დეპარტამენტს გაფორმებული აქვს 330 ხელშეკრულება. მათ შორის 16 ხელშეკრულება გაფორმდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერის და ელექტრონული ტენდერის საფუძველზე. დანარჩენი ხელშეკრულებები გაფორმებულია გამარტივებული შესყიდვის საფუძველზე.

2012 წლის 11 თვის განმავლობაში გაფორმებულია სულ 395 ხელშეკრულება. მათ შორის 42 ხელშეკრულება გაფორმდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერის და ელექტრონული ტენდერის საფუძველზე. დანარჩენი ხელშეკრულებები გაფორმებულია გამარტივებული შესყიდვით.

ხშირ შემთხვევებში მონეტარულ ზღვარზე მეტი ღირებულების საქონლის ან მომსახურების შესყიდვისას გამარტივებული შესყიდვის საფუძველად მოტანილია შესყიდვების კანონით განსაზღვრული გადაუდებელი აუცილებლობის მოტივი. დეპარტამენტის მიერ ასეთი მოტივით გამარტივებული შესყიდვის გამოყენებისას უზღუდულობა ყოფილია კანონმდებლობის მოთხოვნა⁵ (რომლის მიხედვითაც ასეთ შემთხვევაში შესყიდვის ობიექტის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული პრობლემების მოსაგვარებლად საჭირო ოდენობას. აგრეთვე შემსყიდველმა ორგანიზაციამ მაქსიმალურად უნდა აარიდოს თავი შესყიდვის განხორციელების გაჭიანურებას, რათა ხელოვნურად არ შეიქმნას შესყიდვის გადაუდებლად განხორციელების აუცილებლობა).

მაგალითად, დეპარტამენტის დირექტორის მოადგილის 2011 წლის 13 მაისის N 565194 პატივის და მინისტრის მოადგილის თანხმობის საფუძველზე გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით გამარტივებული შესყიდვით განხორციელდა საოფისე ავეჯის, კომპიუტერული ტექნიკის, კარტრიჯების, საკანცელარიო საქონლის, რბილი ინვენტარის, უნიფორმის, ელექტროტექნიკის და სხვა საქონლის შესყიდვა. გამარტივებული შესყიდვის საფუძველზე გაფორმდა აგრეთვე ხელშეკრულებები N106 (23.03.2011წ. შპს „ჯესკო ჯგუფი“, 26.7 ათასი ლარი, კონდიციონერების მომსახურება), N167 (15.06.2011წ. შპს „სამკერვალო მაუდი“ 22.6 ათასი ლარი, უნიფორმა), N282 (08.08.2012წ. შპს „ალეგორითმი“ 30.1 ათასი ლარი, კომპიუტერული მოწყობილობები), N388 (26.09.2012წ. შპს „მოდერნი ვილა“, 41.5 ათასი ლარი, ავეჯი) და ა.შ. ყველა ზემოაღნიშნულ შემთხვევაში ობიექტის შესყიდვა გათვალისწინებული იყო წინასწარ გაწერილი სახელმწიფო შესყიდვების ევგმით. აქედან გამომდინარე წლის დასაწყისიდან დეპარტამენტს ჰქონდა საკმარისი დრო ტენდერების გამოსაცხადებლად და შეეძლო შესყიდვების განხორციელება არ გაეჭიანურებინა.

ანალოგიურ ფაქტს აქვს ადგილი ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებითაც. კერძოდ, 2011 წელს აღნიშნული მომსახურების შესყიდვაზე ტენდერი (SPA 110014484) გამოცხადდა 2011 წლის 30 მაისს. მონაწილეობა მიიღო ერთმა პრეტენდენტმა შპს „555“-მ. წინადადებების შეთავაზება დამთავრდა 20 ივნისს (749.3 ათასი ლარი), მაგრამ გაურკვეველი მიზეზებით გამარჯვებულის გამოვლენის პროცედურები სექტემბრამდე არ დაწყებულა. შესაბამისად გამარჯვებული კომპანია გამოვლინდა 28 სექტემბერს. ხელშეკრულება (N233) გაფორმდა 30 სექტემბერს. გაჭიანურებულია როგორც ტენდერის გამოცხადება, ასევე გამარჯვებულის გამოვლენა. შედეგად დეპარტამენტის უფროსის 2011 წლის 13 მაისის N565502 პატივის და მინისტრის მოადგილის თანხმობის საფუძველზე მომსახურების შესყიდვა განხორციელდა გამარტივებული შესყიდვით გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით (2011 წლის 23 მაისის ხელშეკრულებები: N139 შპს „555“-100.0 ათასი ლარი, N140 შპს „ცენტრ პაუსი“-4.0 ათასი ლარი, N141 შპს „სენა ავტო“-7.0 ათასი ლარი, N142 შპს „იბერია ავტოპაუსი“-7.0 ათასი ლარი, N143 შპს „ავტოსერვისცენტრი“-7.0 ათასი ლარი, N144 შპს „ჯორჯი“-10.0 ათასი ლარი, N145 შპს „აკა“-15.0 ათასი ლარი).

⁵ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მოთხოვნა.

- მივლინებების დაგეგმვასთან დაკავშირებული საკითხები

ხშირ შემთხვევებში ქვეყნის გარეთ მივლინებები არასწორად იგეგმებოდა, რასაც შედეგად მოსდევდა მივლინების ვადების გაგრძელება და უკან გამოსამგზავრებელი თვითმფრინავის ბილეთების გაუქმება. აღნიშნულ ბილეთებში გადახდილი თანხებს ავიაკომპანიები არ აბრუნებენ. შედეგად, საჭირო ხდებოდა ახალი ბილეთების შეძენა, რაშიც ზედმეტად იხარჯებოდა საბიუჯეტო სახსრები.

მაგალითად, დეპარტამენტის დირექტორის ბრძანება⁶ ითვალისწინებდა ორი ხელმძღვანელი პირის მივლინებას შვეიცარიაში 2012 წლის 9 აპრილიდან 2012 წლის 13 აპრილამდე. აღნიშნულ ვადაში თანამშრომლები უკან არ დაბრუნებულან და მივლინებაში დარჩნენ თავდაპირველად განსაზღვრულ ვადაზე 25 დღით მეტი პერიოდით. აღსანიშნავია, რომ მივლინების ვადა მოგვიანებით 2012 წლის 1 მაისის ბრძანებით⁷ გაგრძელდა 38 დღის ვადით. გაუქმებული ბილეთების შესაძენად გადახდილი იყო 2.8 ათასი ლარი, რის შედეგადაც ზედმეტად გაიზარდა საბიუჯეტო სახსრები. სულ აღნიშნულ მივლინებაზე (რომლის მიზნობრიობა უცნობია) გაიხარჯა 31.3 ათასი ლარი.

ასევე, დირექტორის ბრძანებების⁸ საფუძველზე იგეგმებოდა ორი ხელმძღვანელი პირის ქ. დუბაიში მივლინება. მოგვიანებით აღნიშნული მივლინება ბრძანებით გაუქმდა. შესაბამისად ბილეთების და ვიზების შესაძენად გახარჯულია 3.2 ათასი ლარი, რომელიც უკან არ დაბრუნებულა.

ქვეყნის შიგნით მივლინების ბრძანებები ხშირ შემთხვევებში გამოცემულია მოსამსახურეთა მივლინებაში ყოფნის ვადის გასვლის შემდგომ. მაგალითად, 2011 წლის 6 აპრილიდან 11 აპრილის ჩათვლით ქ. ზუგდიდში მივლინებული იქნა 331 თანამშრომელი, რომელთა ნაწილი, 141 კაცი, განათავსდა ქ. ანაკლიის და ქ. ზუგდიდის სასტუმროებში. დანარჩენი თანამშრომლების საცხოვრებელი ადგილი უცნობია. აღნიშნულ მივლინებაზე სულ გაიხარჯა 55.1 ათასი ლარი. ბრძანება მივლინებასთან დაკავშირებით, რომელსაც არ აქვს მინიჭებული საიდუმლოების გრიფი გამოიცა 2011 წლის 12 აპრილს⁹. გაურკვეველია მივლინებაში გამგზავრების მიზანი.

ანალოგიურად, 2011 წლის 19 აგვისტოდან 25 აგვისტომდე სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში მივლინებით იმყოფებოდა 232 თანამშრომელი. დაახლოებით თვენახევრის შემდეგ გამოცემული ბრძანებით¹⁰ ეს პერიოდი თანამშრომლებს ჩაეთვალიათ სამსახურებრივ მივლინებად, რისთვისაც გაიხარჯა სულ 20.9 ათასი ლარი.

ასევე 2012 წლის 2 მარტის N283560, 12 მარტის N318276 და N321878 ბრძანებებით 1 მარტიდან 6 მარტამდე 294 თანამშრომელი მივლინებული იქნა ქ. ზუგდიდში და განათავსდნენ ქ. ანაკლიის სასტუმროში, რისთვისაც გაიხარჯა 69.2 ათასი ლარი.

- მივლინებები ქვეყნის გარეთ

მივლინების ხარჯების ქვეყნული დეპარტამენტის 2011 წლის განმავლობაში გაწეული აქვს 997.0 ათასი ლარის საკასო ხარჯი. მათ შორის ქვეყნის გარეთ მივლინებაზე გახარჯულია 684.6 ათასი ლარი.

მივლინების ხარჯების ქვეყნული 2012 წლის იანვრიდან სექტემბრის ჩათვლით გაწეულია 725.3 ათასი ლარის საკასო ხარჯი. მათ შორის ქვეყნის გარეთ მივლინებაზე 460.1 ათასი ლარის ხარჯი. საცხოვრებელი

⁶ 2012 წლის 10 აპრილის N461649 ბრძანება.

⁷ დეპარტამენტის დირექტორის 2012 წლის 1 მაისის N558552 ბრძანება.

⁸ 2012 წლის 11 მაისის N605154 და N605862 ბრძანებები.

⁹ ბრძანება N446832.

¹⁰ ბრძანება N1227912, 04.10.2011.

ფართის დაქირავების ხარჯების ანაზღაურების შემოწმებით გაირკვა, რომ ზოგ შემთხვევაში გაანგარიშებებში (ანგარიშები სამსახურებრივი მივლინებების ხარჯებზე) ჩართულია მივლინებიდან დაბრუნების დღის (ბოლო დღის) საცხოვრებელი ფართის დაქირავების თანხები. ფაქტობრივად კი მივლინების ბოლო დღე გამოგზავრების დღეა და დამისთვება არ ხდება. დეპარტამენტის პასუხისმგებელი პირების ახსნა-განმარტების მიხედვით მივლინების ბოლო დღის საცხოვრებელი ფართის დაქირავების ხარჯის ანაზღაურება დაკავშირებულია იმ გარემოებასთან, რომ ზოგიერთ შემთხვევაში მივლინებულის გამოგზავრება ხდება საღამოს საათებში და სასტუმროები არასრული დღე-ღამის მიუხედავად სტუმრებს ახდენენ სრულ ღირებულებას. თუმცა აღნიშნული ფაქტების (არასრული დღე-ღამის განმავლობაში ცხოვრების და თანხის გადახდის) დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენა მივლინებულის მიერ არ ხდება და ანაზღაურება წარმოებს საზღვრის გადმოკვეთის თარიღის მიხედვით. აქედან გამომდინარე გაურკვეველი რჩება რეალურად იცხოვრა თუ არა მივლინებულმა სასტუმროში დამატებითი საათების განმავლობაში. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ქვეყნის გარეთ მივლინებების ბრძანებები გამოცემულია პატაკების საფუძველზე, რომლებშიც არ არის მითითებული მივლინებაში გამგზავრების მიზანი და დავალება. ასევე, ვერ იქნა წარმოდგენილი სხვა მტკიცებულებები რომლებიც დაადასტურებდა მივლინების მიზნებს. ქვეყნის გარეთ მივლინებების შესახებ ბრძანებებს არ აქვს მინიჭებული საიდუმლოობის გრიფი¹¹ და შესაბამისად ზემოაღნიშნული ინფორმაცია მითითებული უნდა იყოს.

- მივლინებები ქვეყნის შიგნით

ცალკეულ შემთხვევებში ადგილი ჰქონდა საცხოვრებელი ფართის დაქირავების ხარჯების ანაზღაურებას, რომელიც აღმატებოდა არა მხოლოდ საქართველოში არსებულ საშუალო კლასის სასტუმროს ნომრის ღირებულებას, არამედ საქართველოს კანონმდებლობით¹² განსაზღვრულ ნორმებს ისეთი ქვეყნებისთვის, როგორიცაა ავსტრია (89 ევრო), იტალია (102 ევრო), აშშ, ნიუ-იორკი (235 აშშ დოლარი) და ა.შ.

მაგალითად, დეპარტამენტის დირექტორის 2012 წლის 15 აგვისტოს N1088706 ბრძანებით 14 თანაშრომელი იმყოფებოდა ქ. ქუთაისში 7 დღით, რისთვისაც ანაზღაურებული იქნა საცხოვრებელი ფართის დაქირავების ხარჯები დღიური 216 ლარის ოდენობით. შსს საკადრო და ორგანიზაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტის კადრების მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილის ბრძანებით¹³ ქ. ბათუმში მივლინებულ ხელმძღვანელ პირს აუნაზღაურდა საცხოვრებელი ფართობის დაქირავების ხარჯი დღიური 405 ლარის ოდენობით. ასევე, ქ. ბათუმში მივლინებულ ხელმძღვანელ პირს აუნაზღაურდა საცხოვრებელი ფართის დაქირავების ხარჯი დღიური 327 ლარის ოდენობით¹⁴.

- ავტომატურად მიმდინარე რემონტის ხარჯების და შესაბამისი საბალანსო ღირებულებების შედარება

ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯების ქვეშეშლით 2011 წლის განმავლობაში გაწეულია 1,367.5 ათასი ლარის საკასო ხარჯი. მათ შორის მიმდინარე რემონტის ხარჯმა შეადგინა 1,058.8 ათასი ლარი (მათ შორის კატარღის შეკეთების ხარჯი 36.1 ათასი ლარი).

2012 წლის 11 თვეში იგივე ქვეშეშლით გაწეულია 1,445.9 ათასი ლარის საკასო ხარჯი. მათ შორის მიმდინარე რემონტის ხარჯმა შეადგინა 1,250.0 ათასი ლარი.

¹¹ სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის შესაბამისად.

¹² საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 20 აპრილის N231 ბრძანებულებით დამტკიცებული მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების წესის მე-14 პუნქტის და დანართი N2-ის მოთხოვნები.

¹³ 2011 წლის 1 აპრილის N396035 ბრძანება.

¹⁴ 2011 წლის 2 ივლისის N786097 ბრძანება.

დეპარტამენტის განკარგულებაში იმყოფება 500-ზე მეტი ავტომანქანა (როგორც ბალანსზე, ასევე პასუხსაგებ შენახვაზე არსებული). აღსანიშნავია, რომ რამდენიმე შემთხვევაში გაწეული მიმდინარე რემონტის ხარჯები ავტომანქანების საბალანსო ღირებულებებთან შედარებით არაგონივრულად მაღალია (არ არის უზრუნველყოფილი საბიუჯეტო სახსრების რაციონალური ხარჯვა¹⁵).

მაგალითად, 2011 წლის მონაცემების მიხედვით:

- ავტომანქანაზე „ნისან პატრული“ (MAO-917, 1999 წლის გამოშვება, საბალანსო ღირებულება 9,960 ლარი) წლის განმავლობაში გაწეულია 8,315 ლარის მიმდინარე რემონტის ხარჯი, რაც საბალანსო ღირებულების 83%-ს შეადგენს.
- ავტომანქანაზე „BMW-X5“ (SRS-787, 2002 წლის გამოშვება, საბალანსო ღირებულება 19,588 ლარი) წლის განმავლობაში გაწეულია 10,976 ლარის მიმდინარე რემონტის ხარჯი, რაც საბალანსო ღირებულების 56%-ს შეადგენს.
- ავტომანქანაზე „მიცუბიში“ (HWH-572, 1999 წლის გამოშვება, საბალანსო ღირებულება 9,960 ლარი) წლის განმავლობაში გაწეულია 5,337 ლარის მიმდინარე რემონტის ხარჯი, რაც საბალანსო ღირებულების 54%-ს შეადგენს.
- ავტომანქანაზე „შკოდა ოქტავია“ (WKW-096, 2007 წლის გამოშვება, საბალანსო ღირებულება 15323 ლარი) წლის განმავლობაში გაწეულია 7,316 ლარის მიმდინარე რემონტის ხარჯი, რაც საბალანსო ღირებულების 48%-ს შეადგენს.
- ავტომანქანაზე „მერსედისი“ (QKQ-632, 1988 წლის გამოშვება, საბალანსო ღირებულება 4,000 ლარი) წლის განმავლობაში გაწეულია 4,589 ლარის მიმდინარე რემონტის ხარჯი, რაც საბალანსო ღირებულების 115%-ს შეადგენს.
- ავტომანქანაზე „მერსედისი“ (CIC-404, 2005 წლის გამოშვება, საბალანსო ღირებულება 40,352 ლარი) წლის განმავლობაში გაწეულია 13,610 ლარის მიმდინარე რემონტის ხარჯი, რაც საბალანსო ღირებულების 34%-ს შეადგენს.
- ავტომანქანაზე „მერსედისი“ (GVG-043, 2000 წლის გამოშვება, საბალანსო ღირებულება 31,080 ლარი) წლის განმავლობაში გაწეულია 10,968 ლარის მიმდინარე რემონტის ხარჯი, რაც საბალანსო ღირებულების 35%-ს შეადგენს.

ავტომანქანების მიმდინარე რემონტზე 2011 წელს გაწეულია 1,022,650 ლარის ფაქტობრივი ხარჯი, ხოლო 2012 წლის იანვრიდან სექტემბრის ჩათვლით 1,132,917 ლარი.

2011 წლის იანვრიდან აპრილის ჩათვლით და ამავე წლის აგვისტოში ფაქტობრივი ხარჯი გაწეული არ არის. რაც შეეხება დანარჩენ თვეებს, დეკემბრის გარდა, ფაქტობრივი ხარჯები გაწეულია სხვადასხვა ოდენობით 5.3 ათასი ლარიდან 177.4 ათას ლარამდე. 2011 წლის დეკემბერში ფაქტობრივი ხარჯი მნიშვნელოვნად გაიზარდა და შეადგინა 347.2 ათასი ლარი, რაც საშუალო ყოველთვიურ ხარჯს 5.6-ჯერ აღემატება¹⁶.

ავტომანქანების მიმდინარე რემონტზე 2011 წელს გაწეული ფაქტობრივი ხარჯები, ათას ლარებში:

I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII
-	-	-	-	154	118	5	-	50	170	177	347

ანალოგიური ტენდენცია შეინიშნება საკასო ხარჯებთან მიმართებითაშიც. წლიური 1,058.8 ათასი ლარის საკასო ხარჯიდან 449.3 ათასი ლარის ხარჯი (42%) გაწეულია დეკემბერში.

¹⁵ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა“ პუნქტით განსაზღვრული მიზანი.

¹⁶ 675.4 (იანვარ-ნოემბრის ხარჯი)/11 თვე=61.4 (საშუალო), 347.2 (დეკემბრის ხარჯი)/61.4 (საშუალო)=5.6

- შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება

შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე დეპარტამენტს 2011 წლის განმავლობაში გაწეული აქვს 1,311.2 ათასი ლარის საკასო ხარჯი. შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი როგორც საბიუჯეტო ორგანიზაცია მოიცავდა ასევე შსს ოპერატიულ-ტექნიკურ დეპარტამენტს და შსს გენერალურ ინსპექციას. სამივე სტრუქტურულ ერთეულში შტატგარეშე მომუშავეთა საშუალო რაოდენობამ წლის განმავლობაში შეადგინა 60 ერთეული. შესაბამისად, შტატგარეშე მომუშავეთა საშუალო წლიურმა შრომის ანაზღაურებამ 2011 წელს შეადგინა 21,852 ლარი. შტატით გათვალისწინებულ თანამშრომელთა საშუალო წლიურმა შრომის ანაზღაურებამ (1,383 თანამშრომელი, 23,765.8 ათასი ლარი) შეადგინა 17,184 ლარი. ე.ი. შტატგარეშე მომუშავეთა საშუალო წლიური შრომის ანაზღაურება შტატით გათვალისწინებული თანამშრომლების საშუალო წლიურ შრომის ანაზღაურებას აღემატება 4,668 ლარით, რაც ეწინააღმდეგება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს¹⁷. აქედან გამომდინარე, კანონდარდევითი გაცემული შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების ოდენობამ 2011 წელს შეადგინა 280.1 ათასი ლარი¹⁸.

შტატგარეშე მომუშავეთა საშუალო რიცხოვნობამ 2012 წლის 11 თვეში შეადგინა 82 თანამშრომელი და შრომის ანაზღაურების სახით ამავე პერიოდში მათზე გაწეულია 1,348.0 ათასი ლარის საკასო ხარჯი. შტატგარეშე მომუშავეთა 11 თვის ჯამურმა საშუალო შრომის ანაზღაურებამ შეადგინა 16,439 ლარი¹⁹. შტატით გათვალისწინებულ თანამშრომელთა 11 თვის ჯამურმა საშუალო შრომის ანაზღაურებამ კი შეადგინა 16,131 ლარი²⁰. შტატგარეშე მომუშავეთა 11 თვის ჯამური საშუალო შრომის ანაზღაურება შტატით გათვალისწინებული თანამშრომლების საშუალო შრომის ანაზღაურებას აღემატება 308 ლარით. კანონდარდევითი²¹ გაცემული შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების ოდენობამ 2012 წლის 11 თვეში შეადგინა 25.3 ათასი ლარი²².

- შრომის ანაზღაურება, პრემია

პრემიის ქვეყნული 2011 წლის განმავლობაში გაწეულია 3,859.7 ათასი ლარის საკასო ხარჯი, ხოლო 2012 წლის იანვრიდან სექტემბრის ჩათვლით 2626.4 ათასი ლარის საკასო ხარჯი. 2011 წლის განმავლობაში დეპარტამენტის დირექტორის შრომის ანაზღაურების სახით დარიცხულმა თანხამ შეადგინა 104.2 ათასი ლარი. მათ შორის პრემიის სახით, მინისტრის ბრძანებების საფუძველზე დაერიცხა 66.7 ათასი ლარი. ნოემბრის თვეში დირექტორის ერთჯერადად მიღებულმა პრემიამ შეადგინა 14.5 ათასი ლარი. დირექტორის მოადგილეების 2011 წლის წლიური შრომის ანაზღაურება მერყეობს 65.8 ათასი ლარიდან 75.5 ათას ლარამდე (მათ შორის პრემია 29.3 ათასი ლარიდან 39.9 ათას ლარამდე).

შსს გენერალური ინსპექციის უფროსს 2012 წლის აგვისტოში პრემიის სახით დაერიცხა 18,750 ლარი. სულ სამი თვის განმავლობაში, ივლისიდან სექტემბრის ჩათვლით პრემიის სახით მიღებული აქვს 31,250 ლარი²³. კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის დირექტორის აგვისტოში ასევე პრემიის სახით მიღებული აქვს 18,750 ლარი. სულ ოთხი თვის განმავლობაში, ივლისიდან ოქტომბრის ჩათვლით პრემიის სახით მიღებული აქვს 39,500 ლარი²⁴. ბრძანებებში ზოგჯერ მითითებულია ზოგადად „სამსახურებრივი მოვალეობის

¹⁷ საქართველოს 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნა. 4,668 ლარი x 60 თანამშრომელი.

¹⁸ 1,348.0 ათასი ლარი/82 თანამშრომელი.

¹⁹ 22,470.1 ათასი ლარი/1,393 თანამშრომელი.

²¹ საქართველოს 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნა.

²² 308 ლარი x 82 თანამშრომელი.

²³ მინისტრის 2012 წლის 19 ივლისის N267 პ/მ, 9 აგვისტოს N299 პ/მ, 20 აგვისტოს N322 პ/მ და 19 სექტემბრის N368 პ/მ ბრძანებები.

²⁴ მინისტრის 2012 წლის 25 ივნისის N232 პ/მ, 19 ივლისის N269 პ/მ, 9 აგვისტოს N301 პ/მ, 20 აგვისტოს N323 პ/მ, 19 სექტემბრის N374 პ/მ და 5 ოქტომბრის N410 ბრძანებები.

კუთილსინდისიერი შესრულებისთვის", თუმცა უცნობია თუ რა კონკრეტული დამსახურებებისთვის გამოიყენებოდა წახალისების ზემოაღნიშნული ფორმა.

უარყოფითი მოსაზრება ფინანსური საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობასთან დაკავშირებით

ჩვენი აზრით დეპარტამენტის ფინანსური საქმიანობა ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით არ შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს.

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი:

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

აუდიტორების ხელმოწერები

თარიღი

ხელმოწერა

უფროსი აუდიტორი
გია ნადარეიშვილი

02.07.2013წ.



უფროსი აუდიტორი
თენგიზ გურასაშვილი

02.07.2013წ



საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი
 ფორმა N1 - ბალანსი 2011
 საანგარიშო პერიოდისთვის რომელიც დასრულდა 2011 წლის 31 დეკემბერს

	31/12/2011	31/12/2010
აქტივები		
ფინანსური აქტივები და მოთხოვნები		
სხვა ანგარიშები ბანკში	6,701	-
მოთხოვნები მივლინებით	9,255	28,726
მოთხოვნები დანაკლისებით	165,772	152,757
მოთხოვნები წინასწარი გადახდებით	414	7,516
სულ ფინანსური აქტივები	182,142	188,999
არაფინანსური აქტივები		
შენიშნა-ნაგებობები	1,523,279	1,451,480
მანქანა დანადგ. და ინვენტარი	24,207,717	21,329,213
სხვა ძირითადი აქტივები	590,863	454,724
სხვა დანარჩენი ძირითადი აქტივები	607,860	780,081
სხვა მატერიალური მარაგები	803,494	422,477
არაწარმოებული აქტივები	81,815	81,815
სულ არაფინანსური აქტივები	27,815,028	24,519,790
სულ აქტივები	27,997,170	24,708,789
ვალდებულებები და კაპიტალი		
ვალდებულებები		
ვალდებ. მოწოდებ. და მომსახ.	1	9,243
ვალდებულებები მივლინებით	6,121	-
სხვა ვალდებულებები	580	-
სულ ვალდებულებები	6,702	9,243
კაპიტალი		
წმინდა ღირებულება	27,990,468	24,699,546
სულ კაპიტალი	27,990,468	24,699,546
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	27,997,170	24,708,789

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი

ფორმა N1 - ბალანსი 2012

საანგარიშო პერიოდისთვის რომელიც დასრულდა 2012 წლის 30 სექტემბერს

აქტივები

ფინანსური აქტივები და მოთხოვნები

სხვა ანგარიშები ბანკში	-	6,701
მომუშავეების მიმართ მოთხოვნები	4,134	9,255
მოთხოვნები დანაკლისებით	165,772	165,772
მოთხოვნები წინასწარი გადახდებით	864	414
სულ ფინანსური აქტივები	170,770	182,142

არაფინანსური აქტივები

შენიშნა-ნაგებობები	1,523,279	1,523,279
მანქანა დანადგ. და ინვენტარი	28,631,478	24,815,577
სხვა მირითადი აქტივები	658,991	590,863
გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	244,311	293,655
სხვა მატერიალური მარაგები	951,463	509,839
არაწარმოებული აქტივები	81,815	81,815
სულ არაფინანსური აქტივები	32,091,337	27,815,028
სულ აქტივები	32,262,107	27,997,170

ვალდებულებები და კაპიტალი

ვალდებულებები

მომსახურების მიწოდებით	86,929	1
აქტივების მიწოდებით	329,765	-
მივლინებით ქვეყნის შიგნით	60	-
მივლინებით ქვეყნის გარეთ	-	6,121
სხვა მოკლევადიანი კრედიტორული	-	580
სულ ვალდებულებები	416,754	6,702

კაპიტალი

წმინდა ღირებულება	31,845,353	27,990,468
სულ კაპიტალი	31,845,353	27,990,468
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	32,262,107	27,997,170

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კომპიუტერული უსაფრთხოების დეპარტამენტი
 ფორმა N2 - ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით 2011
 საანგარიშო პერიოდისთვის რომელიც დასრულდა 2011 წლის 31 დეკემბერს

ხარჯების ჩამონათვალი	დამტკიცებული ზღვრით	დასრულებული ზღვრით	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)	ფაქტობრივი ხარჯი	გადახდა ფაქტობრივსა და საკასო ხარჯს შორის
1.1 შრომის ანაზღაურება	23,835,600	23,765,839	23,765,814	23,765,814	23,765,814	23,762,934	(2,880)
1.2 საქონელი და მომსახურება	4,406,400	4,698,324	4,696,058	4,691,646	4,691,646	8,627,295	3,935,649
შტატგარეშე მომსახ. ანაზღ.	-	-	1,311,157	1,311,157	1,311,157	1,314,037	2,880
მოვლინებები	-	-	1,000,677	996,976	996,976	1,015,546	18,570
ოფისის ხარჯები	-	-	649,265	648,554	648,554	1,513,761	865,207
წარმომადგენლობითი	-	-	49,263	49,263	49,263	43,299	(5,964)
ჯვრის ხარჯები	-	-	32,400	32,400	32,400	132,662	100,262
სამედიცინო ხარჯები	-	-	2,033	2,033	2,033	3,808	1,775
რბილი ინვენტ. უნიფორმ.	-	-	67,829	67,829	67,829	231,208	163,379
ტრანსპორტ. და ტექნიკის ექს.	-	-	1,367,541	1,367,541	1,367,541	4,158,081	2,790,540
სხვ. დანარჩ. საქონ. და მომს.	-	-	215,893	215,893	215,893	214,893	(1,000)
1.3 ძირ. კაპიტალის მოხმარება	-	-	-	-	-	5,958,169	5,958,169
1.4 პროცენტი	-	-	-	-	-	-	-
1.5 სუბსიდიები	-	-	-	-	-	-	-
1.6 გრანტები	-	-	-	-	-	-	-
1.7 სოც. უზრუნველყოფა	75,000	68,880	68,880	68,880	68,880	68,880	-
1.8 სხვა ხარჯები	-	-	-	-	-	-	-
სულ ხარჯები	28,317,000	28,533,043	28,530,752	28,526,340	28,526,340	38,417,278	9,890,938

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი
 ფორმა N2 - ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით 2012
 საანგარიშო პერიოდისთვის რომელიც დასრულდა 2012 წლის 30 სექტემბრის

ხარჯების ჩამონათვალი	დამტკიცებული გეგმით	დასრულებული გეგმით	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)	ფაქტობრივი ხარჯი	გადახრა ფაქტობრივს და საკასო ხარჯს შორის
1.1 შრომის ანაზღაურება	24,704,300	18,676,216	18,676,215	18,567,202	18,567,202	18,567,202	-
1.2 საქონელი და მომსახურება	4,982,400	3,717,840	3,711,162	3,524,151	3,524,151	7,130,126	3,605,975
შტატარგზე მომუშავე ანაზღ.	-	-	1,132,030	1,132,025	1,132,025	1,132,025	-
მოვლინებები	-	-	746,033	725,329	725,329	729,491	4,162
ოფისის ხარჯები	-	-	623,667	581,265	581,265	1,332,222	750,957
წარმომადგენლობითი	-	-	43,398	37,428	37,428	45,039	7,611
კვების ხარჯები	-	-	82,550	82,550	82,550	138,021	55,471
სამუდმივნი ხარჯები	-	-	6,428	6,428	6,428	6,428	-
რბილი ინვენტ. უნიფორმ.	-	-	55,641	52,444	52,444	244,468	192,024
ტრანსპორ. და ტექნიკის ექს.	-	-	895,582	783,274	783,274	3,380,396	2,597,122
სხვ. დანარჩ. საქონ. და მომს.	-	-	125,833	123,408	123,408	122,036	(1,372)
1.3 მორ. კაპიტალის მოხმარება	-	-	-	-	-	-	-
1.4 პროცენტები	-	-	-	-	-	-	-
1.5 სუბსიდიები	-	-	-	-	-	-	-
1.6 გრანტები	-	-	-	-	-	7,161	7,161
1.7 სოც. უზრუნველყოფა	70,000	72,500	64,573	58,837	58,837	58,837	-
1.8 სხვა ხარჯები	-	-	-	-	-	-	-
სულ ხარჯები	29,756,700	22,466,556	22,451,950	22,150,190	22,150,190	25,763,326	3,613,136

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კომსტრუქციური უსაფრთხოების დეპარტამენტი

ფორმა N2.1 - ანგარიში არაფინანსური აქტივებით სავსეობით სავსეობის შესახებ 2011

საანგარიშო პერიოდისთვის რომელიც დასრულდა 2011 წლის 31 დეკემბერს

არაფინანსური აქტივების ჩამონათვალი	დამტკიცებული გვერდი	დაზუსტებული გვერდი	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (სავსეობა ხარჯი)
1.1 ძირითადი აქტივები	350,000	310,468	310,466	310,465	310,465
1.1.1 შენობა-ნაგებობები	350,000	310,468	-	-	-
1.1.2 მანქანა-დანადგარები	-	-	310,466	310,465	310,465
1.2 მატერიალური მარაგები	-	-	-	-	-
1.3 ფასეულობები	-	-	-	-	-
1.4 არაწარმოებული აქტივები	-	-	-	-	-
სულ არაფინანსური აქტივები	350,000	310,468	310,466	310,465	310,465

ფორმა N2.1 - ანგარიში არაფინანსური აქტივებით სავსეობით სავსეობის შესახებ 2012

საანგარიშო პერიოდისთვის რომელიც დასრულდა 2012 წლის 30 სექტემბერს

არაფინანსური აქტივების ჩამონათვალი	დამტკიცებული გვერდი	დაზუსტებული გვერდი	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (სავსეობა ხარჯი)
1.1 ძირითადი აქტივები	190,000	483,695	401,797	385,416	385,416
1.1.2 მანქანა-დანადგარები	190,000	483,695	401,797	385,416	385,416
1.2 მატერიალური მარაგები	-	-	-	-	-
1.3 ფასეულობები	-	-	-	-	-
1.4 არაწარმოებული აქტივები	-	-	-	-	-
სულ არაფინანსური აქტივები	190,000	483,695	401,797	385,416	385,416

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კომპიუტერული უსაფრთხოების დეპარტამენტი
 ფორმა N2.2 - ანგარიში ფინანსური აქტებში და ვალდებულებებით საკასო იპერაციების შესახებ 2011
 საანგარიშო პერიოდისთვის რომელიც დასრულდა 2011 წლის 31 დეკემბერს

ფინანსური აქტებისა და ვალდებულებების ჩამოთვლილი	დამტკიცებული გვერდი	დაზუსტებული გვერდი	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)
1. ფინანსური აქტები	-	-	-	-	-
2. ვალდებულებები	-	6,924	6,923	6,923	6,923
2.1 საშინაო	-	6,924	6,923	6,923	6,923
2.1.7 სხვა კრედიტორული დავალიანებები	-	6,924	6,923	6,923	6,923
2.2 საგარეო	-	-	-	-	-
სულ ფინანსური აქტები და ვალდებულებები	-	6,924	6,923	6,923	6,923

ფორმა N2.2 - ანგარიში ფინანსური აქტებში და ვალდებულებებით საკასო იპერაციების შესახებ 2012
 საანგარიშო პერიოდისთვის რომელიც დასრულდა 2012 წლის 30 სექტემბერს

ფინანსური აქტებისა და ვალდებულებების ჩამოთვლილი	დამტკიცებული გვერდი	დაზუსტებული გვერდი	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)
1. ფინანსური აქტები	-	-	-	-	-
2. ვალდებულებები	-	6,703	6,702	6,702	6,702
2.1 საშინაო	-	6,703	6,702	6,702	6,702
2.1.7 სხვა კრედიტორული დავალიანებები	-	6,703	6,702	6,702	6,702
2.2 საგარეო	-	-	-	-	-
სულ ფინანსური აქტები და ვალდებულებები	-	6,703	6,702	6,702	6,702

71

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი
ფორმა N3 - ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ 2011

საანგარიშო პერიოდისთვის რომელიც დასრულდა 2011 წლის 31 დეკემბერს

წმინდა ღირებულება 31/12/2010	24,699,546
სადებეტო ბრუნვა	
მომუშავეთა ანაზღაურება	(23,762,934)
საქონელი და მომსახურება	(8,627,295)
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	(5,958,169)
სოციალური დახმარება	(68,880)
აქტივების უსასყიდლოდ გაცემა	(637,629)
სხვა ეკონომიკური ნაკადები	(140,118)
ბიუჯეტის წინაშე სხვა ვალდებულებები	(2,731)
სულ სადებეტო ბრუნვა	(39,197,756)
საკრედიტო ბრუნვა	
ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	28,843,728
აქტივების უსასყიდლოდ მიღება	13,519,288
სხვა მოცულობითი ცვლილებები	125,662
სულ საკრედიტო ბრუნვა	42,488,678
წმინდა ღირებულების ცვლილება	3,290,922
წმინდა ღირებულება 31/12/2011	27,990,468

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი
ფორმა N3 - ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ 2012

საანგარიშო პერიოდისთვის რომელიც დასრულდა 2012 წლის 30 სექტემბერს

წმინდა ღირებულება 31/12/2011	27,990,468
სადებეტო ბრუნვა	
მომუშავეთა ანაზღაურება	(18,567,202)
საქონელი და მომსახურება	(7,130,126)
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	-
გრანტები	(7,161)
სოციალური უზრუნველყოფა	(58,837)
აქტივების ვალდებულებების უსასყიდლოდ გაცემა	(472,715)
სხვა ეკონომიკური ნაკადები	(2,146,228)
ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები	(7,722)
სულ სადებეტო ბრუნვა	(28,389,991)
საკრედიტო ბრუნვა	
ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	22,542,308
აქტივების, ვალდებულებების უსასყიდლოდ მიღება	9,566,376
სხვა ეკონომიკური ნაკადები	136,192
სულ საკრედიტო ბრუნვა	32,244,876
წმინდა ღირებულების ცვლილება	3,854,885
წმინდა ღირებულება 30/09/2012	31,845,353

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი
ფორმა N5 - აჭარაში არაფინანსური აქტივების მფლობელების მფლობელების შესახებ 2011
საანგარიშო პერიოდისთვის რამდენიმე დასრულებულია 2011 წლის 31 დეკემბრის

არაფინანსური აქტივების დასახელება	მფლობელი		გაგება						ნაშთი 31/12/2011
	ნაშთი 31/12/2010	მფლობელი	მფლობელი	მფლობელი	მფლობელი	მფლობელი	მფლობელი	მფლობელი	
მართლადი აქტივები	24,015,498	310,466	9,186,938	110,815	633,095	13,015	89,719	5,958,169	26,929,719
შენიშნა-ნაგებობები	1,451,480	-	135,653	-	-	-	-	63,854	1,523,279
საცხ. შენობები	637,029	-	-	-	-	-	-	8,844	628,185
არასაცხ. შენობები	347,386	-	-	-	-	-	-	43,766	303,620
სხვა ნაგებობები	467,065	-	135,653	-	-	-	-	11,244	591,474
მანქანა-დანადგ. და მოწყობ.	21,329,213	310,466	8,922,595	98,836	633,095	13,015	89,719	5,717,564	24,207,717
სატრანსპორტული	10,682,807	-	4,577,465	61,452	602,400	-	77,740	2,120,381	12,521,203
სხვა მანქანა-დანადგ.	10,646,406	310,466	4,345,130	37,384	30,695	13,015	11,979	3,597,183	11,686,514
სხვა მართლადი აქტივები	454,724	-	128,090	11,979	-	-	-	4,530	590,863
სხვა დანარჩენი აქტივები	780,081	-	-	-	-	-	-	172,221	607,860
მატერიალური მარაგები	422,477	860,798	4,332,350	-	4,534	-	37,384	-	803,494
ფულადი დოკუმენტები	22,074	-	3,198,126	-	4,534	-	-	3,159,604	56,062
საითად. ნაწილები	1,425	306,648	22,689	-	-	-	-	-	95,925
სხვა დანარჩენი მარაგები	398,978	554,150	1,111,535	-	-	-	37,384	-	651,507
არაწარმოებ. აქტივები, მიწა	81,815	-	-	-	-	-	-	-	81,815
სულ არაფინ. აქტივები	24,519,790	1,171,264	13,519,288	110,815	637,629	13,015	127,103	5,958,169	27,815,028

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი
 ფორმა N5 - ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ 2012
 საანგარიშო პერიოდისთვის რომელიც დასრულდა 2012 წლის 30 სექტემბერს

არაფინანსური აქტივების დასახელება	ნაშთი 31/12/2011	შემდგომი მნიშვნელობა	უპასუხოდ მნიშვნელობა	საგადასახადო მნიშვნელობა	უპასუხოდ მნიშვნელობა	გრძელვადიანი აქტივების მნიშვნელობა	საქონლის მნიშვნელობა	ნაშთი 30/09/2012
მატერიალური მარაგები	509,839	470,482	3,246,182	135,635	4,548	-	3,405,983	951,463
ფულადი დოკუმენტები	56,062	-	2,788,451	1,872	-	-	2,583,052	259,589
სადასაწყისო ნაწილები	95,925	141,000	5,435	2,676	2,676	-	174,875	67,485
სხვა დანართ. მატ. მარაგები	357,852	329,482	457,731	132,959	-	-	653,491	624,389
ძირითადი აქტივები	26,929,719	477,619	5,894,864	-	468,167	7,161	2,013,126	30,813,748
შენიშვნა-ნაგებობები	1,523,279	-	-	-	-	-	-	1,523,279
საცხოვრებელი შენობები	628,185	-	-	-	-	-	-	628,185
არასაცხოვრებელი შენობები	303,620	-	-	-	-	-	-	303,620
სხვა შენობა-ნაგებობები	591,474	-	-	-	-	-	-	591,474
მაქანა-დანადგ. და ინვენტარი	24,815,577	477,206	5,826,736	-	468,167	7,161	2,012,713	28,631,478
სატრანსპორტული საშუალებები	12,521,203	-	3,253,847	-	429,045	7,161	29,453	15,309,391
სხ. მანქანა, და ინვენტ. და ინვენტ.	12,294,374	477,206	2,572,889	-	39,122	-	1,983,260	13,322,087
სხვა ძირითადი აქტივები	590,863	413	68,128	-	-	-	413	658,991
გრძელვ. მცირეფასიანი აქტივები	293,655	348,504	419,895	557	-	-	685,342	244,311
არაფინანსური აქტივები, მიწა	81,815	-	-	-	-	-	-	81,815
სულ არაფინანსური აქტივები	27,815,028	1,296,605	9,560,941	136,192	472,715	7,161	2,146,228	32,091,337

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი
 ფორმა N5.1 - ანგარიში ეკონომიკური ნაკადების შედგენად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებების შესახებ 2011
 საანგარიშო პერიოდისთვის რომელიც დასრულდა 2011 წლის 31 დეკემბერს

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ჩამონათვალი	მიზნა ფლობიდან	ზარალი ფლობიდან	აქტივების სხვა მიცულობითი ცვლილებებით ზრდა	აქტივების სხვა მიცულობითი ცვლილებებით კლება
ფინანსური აქტივები	-	-	13,015	-
სხვა დებიტ. დავალიანებები	-	-	13,015	-
ფინანსური ვალდებულებები	-	-	1,832	-
სხვა დებიტ. დავალიანებები	-	-	1,832	-

ფორმა N6 - ანგარიში ავტომატური ექსპლუატაციის გზით გაწეული ხარჯების შესახებ 2011

საანგარიშო პერიოდისთვის რომელიც დასრულდა 2011 წლის 31 დეკემბერს

მაგვენებელთა დასახელება	ბიუჯეტით		არასაბიუჯეტო სახსრებით		სულ	
	საკასო ხარჯები	ფაქტური ხარჯები	საკასო ხარჯები	ფაქტური ხარჯები	საკასო ხარჯები	ფაქტური ხარჯები
სატრანსპორტო ერთეულთა საშუალო წლიური რაოდენობა სულ - 555	1,367,541	4,158,081	-	-	1,367,541	4,158,081
მათ შორის მსუბუქი მანქანები - 517	1,273,907	3,873,252	-	-	1,273,907	3,873,252

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კომპიუტერული უსაფრთხოების დეპარტამენტი
ფორმა №6 - ანგარიში ავტომატების ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ 2012
საანგარიშო პერიოდისთვის რომელიც დასრულდა 2012 წლის 30 სექტემბერს

მარჯვენა დასახელება	ნაშთი წლის დასაწყისთვის (რეიდენობა)		მიღება		გასვლა		საკასო ხარჯი		ფაქტური ხარჯი			
	საღირსე	საღირსე	ფაქტური	ფაქტური	ფაქტური	ფაქტური	ფაქტური	ფაქტური	ფაქტური	ფაქტური	ფაქტური	ფაქტური
არაფინანსური ავტომატების დასახელება	საღირსე	საღირსე	ფაქტური	ფაქტური	ფაქტური	ფაქტური	ფაქტური	ფაქტური	ფაქტური	ფაქტური	ფაქტური	ფაქტური
საქართველო	547	12	93	-	44	783,274	773,944	3,374,961	8,592,191	2,336,900	169,440	169,440
საქართველო	270	5	60	-	29	226,599	479,845	1,800,661	530,845	1,193,316	76,500	76,500
საქართველო	236	5	32	-	14	197,861	2,700,881	1,129,519	294,613	765,401	69,505	69,505
საქართველო	1	2	-	-	-	-	23,218	82,140	33,831	41,769	6,540	6,540
საქართველო	16,410	864	455	876	303	15,495	15,495	15,495	15,495	-	-	-
საქართველო	449	164	168	69	116	-	-	-	-	-	-	-
საქართველო	348	18	55	48	7	-	-	-	-	-	-	-
საქართველო	555	48	11	885	90	5	-	-	-	-	-	-